საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1726/01
23/02/2022

1726-01-2-202202231045

შპს „სიბი ჯორჯიას"
მის: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი. ბეთლემის ქ. N27

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2022 წლის 28 იანვარს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი №1284 განცხადება, რომელიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სამელიორაციო სისტემის და 49000 მ^3 მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა დაგეგმილია 11 850 მ^2 (11,85 ჰა) ფართობზე. წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 11,85 ჰა-ს ნაცვლად, რეზერვუარის ფართობია 10,38 ჰა, რაც საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, shp ფაილების მიხედვით, წყალშემკრები რეზერვუარის განთავსებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ნაწილი (დაახლოებით 0,14 ჰა) ცდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთების საზღვრებს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია;
- გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი დანართები „ნიადაგის განივი და გრძივი პროფილები" და „ნიადაგის სასაწყობე ტოპოგრაფიული გეგმა" არ არის დამოწმებული შემსრულებელი პირის/ორგანიზაციის ხელმოწერით/ბეჭდით. ამასთან „ნიადაგის სასაწყობე ტოპოგრაფიული გეგმის" ექსპლიკაცია სათანადოდ არ იკითხება და საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშს არ ახლავს „კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი", რაც განსაზღვრულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის, მე-3 ნაწილით;

- გზშ-ის ანგარიშის სატიტულო გვერდზე მითითებული უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის დასახლება;
- გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ 2020-2021 წლებში 50 ჰა ფართობზე გაშენდა თხილის ბაღი, სამომავლოდ ბაღების გაშენება დაგეგმილია ეტაპობრივად, შპს „სიბი ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ სრულ ფართობზე (651 ჰექტარზე)“. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით, შესაძლოა შპს „სიბი ჯორჯია“ თხილის ბაღების მოსარწყავად უკვე იყენებდეს სამელიორაციო სისტემას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიში შედგენილი და წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევ ტერიტორიაზე ამ დროისთვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი/გათვალისწინებული არ არის შპს „სიბი ჯორჯიას“ სამელიორაციო სისტემისა და 49000 $მ^3$ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა და ექსპლუატაციაზე 2021 წლის 4 ოქტომბერს გაცემული N50 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის დასკვნაში მითითებულია, რომ **შპს „სიბი ჯორჯიამ“ უნდა უზრუნველყოს წყლის მიწოდებაზე გაწეული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ ტერიტორიის მთლიან ფართობზე (651 ჰა), რაც გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ეტაპზე და შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშთან ერთად.** გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი დანართის მიხედვით, შპს „სიბი ჯორჯიას“ წყლის მიწოდებაზე გაწეული მომსახურების ხელშეკრულება შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ გაფორმებული აქვს მხოლოდ 54,3 ჰა-ზე ფართობზე;
- რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების აღწერა, ვადების მითითებით;
- ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით);
- მიწის ნაკვეთამდე ელექტროენერგიის მიწოდების საკითხები;
- მიწის სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტის მოცულობა და მართვის საკითხები.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე